ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԱՐԱՆԻ ՏԵՂԵԿԱԳԻՐ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԱՐԱՆԻ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՄԻՆԻՍՏՐՆԵՐԻ ԽՈՐՀՐԴԻ ՕՐԳԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԱԺ 7-ՐԴ ԳՈՒՄԱՐԱԺՈՂՈՎԻ ԱՌԱՋԻՆ ՆԻՍՏԱՇՐՋ

პარტიული ცხოვრება

საექიროების არჩორგანიზაციებს მეტი ხელმძღვანელობა

ენგურის ჰაელადკომბინატის პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან მუშაობას აწარმოებს სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის. პარტიული ბიუროს (მდივანი ამხ. ბ. ესართია) სხდომებსა და პარტიულ კრებებზე ხშირად იხილავენ დავალებათა შესრულების, ^ალი მუშების კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტახანოველთა რიგების ზრდის საკითხებს.

ენგურის ჰაელადკომბინატში 8 საამქრო პარტორგანიზაციაა. განსაკუთრებით კარგად მუშაობს ჰაელადის საამქროს პარტორგანიზაცია (მდივანი დ. ჯიჯეიზია). საამქროში რომ შედიხარ, ყურადღებას იპყრობს თვალსაჩინო ადგილას გამოკრული მოწოდება: „ვიმუშაოთ ისე, როგორც იბრძვის ფრონტებზე გმირი წითელი არმია!“. მოწოდების გვერდით მოთავსებულია ყოველდღიური დავალების შესრულების დაფა, გამოკრულია სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებლები, აქვეა ახალი ნომერი კედლის გაზეთისა „მეჰაელადის ხმა“. ისინი გვეუბნებიან, რომ წინ მიდიან კომუნისტების—ს. ბზიკაძისა და ნ. ფაცაციას ცვლები. პირველის ცვლას ჰაელადის გამოშვების იღლისის გეგმა 121,4 პროცენტით შეუსრულებია, ხოლო მეორისას—124,3 პროცენტით. ეს ცვლები კარგად მუშაობენ ავგისტომიც.

ჰაელადის საამქრომ იღლისში გეგმა 112,9 პროცენტით შეასრულა. აქ სამაგალითოდ მუშაობს პარტიის წევრობის კანდიდატად ახლად მიღებული ნ. თიკანოღლი, რომელიც მექსელის რთულ მოვალეობას ასრულებს. მისმა ბრიგადამ პროფესიების მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ დაწერგვის შედეგად იღლისის დავალება 121 პროცენტით შეასრულა. შესანიშნავად მუშაობს ჰაელადის დამხვევთა ფრონტული ბრიგადა ახალგაზრდა კომუნისტ გ. კვაშილავას ხელმძღვანელობით. ავანგარდულ როლს წარმოებაში ასრულებენ კომუნისტები ი. ჯანაია, ე. ლასოსკაია, ლ. ჩემინავა, ბ. თოდუა და სხვ.

ელექტროსამშროს პარტორგანიზაცია 8 კომუნისტს აერთიანებს. თვითონ პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ბ. ესართია ელექტრომოტორებზე მუშაობს. იგი ცნობილი რაციონალიზატორია. მან მოამზადა სპეციალური დაზგა, რომელიც ფაბრიკას მნიშვნელოვან ეკონომიას აძლევს და აღსანიშნავია იმითაც, რომ ელექტრომოტორის დეფექტურ ნაწილს სცვლის ადგილობრივი ნარჩენი მასალებით. ამხ. გ. ხარებავა საწარმოო გეგმას ყოველდღე ორმაგად და სამმაგად ასრულებს. კომუნისტები შ. ჯაბუტონია, დ. ქირია, ს. აკობია, გ. თოდუა უთავარიოდ მუშაობენ და ელექტროენერგიის ეკონომიასაც იძლევიან.

ცელულოზის საამქროში ყველაზე უფრო დაწინაურდნენ კომუნისტების დ. თოდუას და მ. სიჭინავას ცვლები. მ. სიჭინავას ცვლამ იღლისის დავალება 125 პროცენტით შეაჯარულა, ხოლო დ. თოდუას ცვლამ—107 პროცენტით.

კომუნისტების ფრონტული მუშაობის შედეგია, რომ ენგურის ჰაელადკომბინატმა (დირექტორი ბ. ჯანაშია) მაისში, ივნისსა და ივლისში გადაჭარბებით შეასრულა ჰაელადის გამოშვების გეგმა, ორჯერ მიიღო ჰაელადის მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე პრემია.

მაგრამ ენგურის ჰაელადკომბინატის საამქროების პარტორგანიზაციებს ჯერ კიდევ აქვთ ნაკლოვანებანი მუშაობაში. ზოგიერთი საამქროს პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას უთმობს კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. ყველა კომუნისტი არ არის ჩაბმული პარტიული კრებებისათვის საკითხების მომზადებაში. მიღებული დადგენილებანი ხშირად ზოგადია. ზოგიერთი საამქროს პარტიულ ორგანიზაციებს პარტიული დოკუმენტები მაგიდის უჯრაში ღწყვიათ და არ იყენებენ ცეცხლგამძლე ყუთებს, რომლებიც დიდი ხანია შეიძინეს.

საჭიროა ენგურის ჰაელადკომბინატის პარტიულმა ბიუროს მიიღოს გადამჭრელი ზომები საამქრო პარტორგანიზაციებში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გ. თათარიშვილი

ზუგდიდის რაიონის პარტიული აქტივის კრება

ზუგდიდი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 13 აგვისტოს შესდგა ზუგდიდის რაიონის პარტიული აქტივის კრება.

აქტივმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიონის მდივნის ამხ. გ. ჩაჩიბაიას მოხსენება „საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიონის მუშაობაზე“ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1944 წლის 2 აგვისტოს დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

ამხ. გ. ჩაჩიბაიამ აღნიშნა, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება მთლიანად ასახავს რაიონის პარტიულ და სამეურნეო ცხოვრებას, მიღწევებსა და ნაკლოვანებებს. მასში დასახულია გზები და საშუალებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ზუგდიდის რაიონის პარტიული ორგანიზაციები,—სთქვა ამხ. გ. ჩაჩიბაიამ,—ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ განუხრელად გაატარის ცხოვრებაში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

შემდეგ მოხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა პროკურატურის, მილიციის, რაიმეწყობისა და სავაჭრო ორგანიზაციების მოქმედი მუშაობა.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 13 კაცმა. ამხანაგები მ. პაჭკორია, ბ. ესართია, ვ. ბოკუჩავა, ი. ქაჯაია, შ. ხუბულავა, ტ. გრიგოლია, შ. შენგელია, ვ. ბეჭვაია, ა. ჯაბანია, ი. ჩოგავა, გ. ნაჭყებია და სხვები თავიანთ გამოსვლებში ამყარებდნენ იმ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს რაიონში.

პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვით ვამოვიდა საქართველოს, კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია. მან აღნიშნა, რომ ზუგდიდის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ დაიწამა მშრომელებრ ფრონტისათვის დასახმარებლად. რაიონი წარმატებით აწარულებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებებს და მოშუშავება რესპუბლიკაში. მაგრამ წარმატებებთან ერთად ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსაც. ამხ. ბარამიამ აქტივის ყურადღება გაამახვილა პარტიაში ახალმიღებულთა პოლიტიკურად აღზრდის საკითხზე, საგანგებო ^ურადღება მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერების საჭიროებაზე, პარტიული კრების როლისა და ხარისხის ვაუმჯობესებაზე.

რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მართებთ მეტი ენერგიით იბრძოლონ მოსაელიანობის გადიდებისათვის. მაგალითად, სოფლებს მოსაელი რაიონში საშუალოდ ჰექტარზე 7,3 ცენტნერს უდრის. ეს მაშინ, როცა ყოველგვარი პირობებია ჰექტარზე საშუალოდ 15 ცენტნერის სიმინდის მისაღებად.

ამხ. ბარამიამ განსაკუთრებით ვაუსვა ხაზი შრომის სწორი ორგანიზაციისა და ადრებით შერჩევის საკითხებს. ამრიგად ბრძანებია ამხ. მ. ბარამიამ,—საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგოს პლანტაციების მოვლა-დამუშავებას.

დარწმუნებული ვართ,—სთქვა დასასრულ ამხ. მ. ბარამიამ,—ზუგდიდის რაიონის პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები, აღზრდილნი ამხ. ლ. ბ. ბერიას მიერ, სახალხოდ შეასრულებენ მათს წინაშე დასახულ ამოცანებს და ზუსტად, განუხრელად გაატარებენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას.

პარტიული აქტივის კრებამ ერთხმად მიიწონა საქართველოს, კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია. მან აღნიშნა, რომ ზუგდიდის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა სამშენებლო სამუშაოების ფართო გაშლის პირობებში სათანადო ყურადღება არ მიაქციეს ხელმძღვანელ კადრებს. ამის გამო ზოგიერთ ორგანიზაციაში ადგილი აქვს ხელმძღვანელ კადრების ხშირ ცვლას, რაც ხელს უშლის საქმის წარმატებით წარმართვას. ამხ. ბარამიამ მოუწოდა ზუგდიდის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს, ყურადღება მიაქციონ ხელმძღვანელ კადრების სწორ შერჩევას, მათ სისტემატურ გაწაფულებას.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა შეასრულეს

მოწინავე კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ სახოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების გეგმებს. კოლმეურნეობები პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს ბარებენ. ზოგიერთმა რაიონმა უკვე შეასრულა პურის ჩაბარების წლიური გეგმა.

სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს ცნობებით, 25 აგვისტოსათვის სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა გორის რაიონს შესრულებული აქვს 105 პროცენტით. კასპისას—102,5-ით, ლაგოდეხისას — 101,1-ით, მცხეთისას — 101,5-ით, თბილისის რაიონს—101,5 პროცენტით.

სტახანოველ ნაზია კუჭავას წარმატება

ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილმა სტახანოველმა ორგზის მედალოსანმა ნაზია კუჭავამ, აღფრთოვანებულმა გმირი წითელი არმიის გამარჯვებებით, ამ დღეებში ახალ წარმატებას მიაღწია ჩაის ფოთლის კრეფაში. ერთ დღეს მან მოჰკრიფა 572 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, დღიური დავალება 2.600 პროცენტით შეასრულა და 40 შრომადღე გამოიმუშავა.

ნაზია კუჭავა ენერგიულად იბრძვის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების—12.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფის—შესრულებისათვის. იგი ყოველ დღიურად ჰკრეფს 150-200 კილოგრამ ფოთოლს, ნორმით გათვალისწინებულ 22 კილოგრამის ნაცვლად. ჩაის კრეფის სეზონის დაწყებიდან ნ. კუჭავას მოკრეფილი აქვს 6.800 კილოგრამი ფოთოლი. (საქდესი).

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(ტრესტ „საქჩაის“ 25 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	ფოთლის მოკრეფვის გეგმა პროცენტებით	ფოთლის მოკრეფილი რაოდენობა პროცენტებით	რაიონები	ფოთლის მოკრეფვის გეგმა პროცენტებით	25 აგვისტოს ფოთლის მოკრეფილი რაოდენობა პროცენტებით
ბათუმი	75,0	50,2	ქუთაისი	85,6	79,0
ქობულეთი	72,0	46,3	წყალტუბო	90,6	72,2
გ ე ლ ა	74,9	52,7	ტყიბული	88,1	62,1
ოჩამჩირე	80,9	77,4	ცხაკაია	80,0	63,5
გულრიფში	96,3	38,9	ბაბაში	82,7	61,4
სოხუმი	140,0	40,0	გეგეჭკორი	70,9	39,7
გუდაუთი	87,5	66,0	ზუგდიდი	79,1	70,0
მახარაძე	72,9	42,0	წალენჯიხა	82,3	59,1
ჩოხატაური	72,9	31,4	ჩხოროწყუ	72,3	41,1
ლანჩხუთი	71,3	46,0	ხ ო ბ ი	82,5	77,5
საქტრედია	85,4	57,4	ჩ ხ ა რ ი	90,7	90,7
წულუკიძე	83,9	35,7	ზესტაფონი	48,5	34,2

ჩოხატაურის, სამტრედიის, მახარაძის, ლანჩხუთისა და ხობის რაიონების ცნობები არასრულია.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის კლენუმი

30 აგვისტოს, ხალამოს 7 საათსა და 30 წუთზე მოლოტოვის რაიონის პარტკაბინეტში (პლეხანოვის პროსპექტი № 83) მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) მოლოტოვის რაიკომის X პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. რაიონის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შესახებ (მომხსენებელი რაიკომის მდივანი ამხ. გ. ლურსმანოვი).
2. ანგარიში პარტიაში მიღების შესახებ 1944 წლის 1 მაისიდან 25 აგვისტომდე.

დღის ამბები

მდგომარეობა რუმინეთში

ჟენევა, 27 აგვისტო (საკდესი). დღეისით ბუქარესტის რადიომ გადასცა ცნობა იმის შესახებ, რომ გენერალ სანატესკუს მთავრობა მდგომარეობის ბატონ-პატრონია მთელს რუმინეთში, გერმანელთა ნაწილებს უმეტესობა განიარაღებული და ინტერნირებულია. სწარმოებს გერმანელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერების ლიკვიდაცია. ბუქარესტი მთლიანად გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან და მშვიდად არის მოიგერიოს კოველგვარი იერიში. შესაძლოა, ნათქვამია ცნობაში, რომ გერმანელები კიდევ თავგანწირვით შეეცდებიან დაბომბონ სატახტო ქალაქი თვითმფრინავთა იმ მცირე რაოდენობის გამოყენებით, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნიათ. მაგრამ რუმინეთის არმია მოკავშირეთა უმაღლესი სარდლობის დახმარებით მიიღებს წინააღმდეგობის საჭირო ზომებს.

მთავრობამ მთელი რიგი სხდომები ჩაატარა პრემიერ მინისტრ გენერალ კონსტანტინე სანატესკუს თავმჯდომარეობით. სხდომებს ესწრებოდნენ უპორტფელო მინისტრები, ნაციონალ-დემოკრატიული ბლოკის პარტიების წარმომადგენლები. განხილულ იქნა მიმდინარე საკითხები და მიღებულ იქნა საჭირო ზომები სატახტო ქალაქში და რუმინეთის დანარჩენ ცენტრებში ნორმალური ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

რუმინეთის შეგაბის ცნობა

ჟენევა, 27 აგვისტო (საკდესი). ბუქარესტის რადიომ დღეს დილადრიან გადასცა რუმინეთის გენერალური შტაბის კომუნიკე გუშინდელი დღის საომარი ოპერაციების შესახებ.

სატახტო ქალაქში, ნათქვამია კომუნიკეში, გრძელდებოდა მტრის წინააღმდეგობის დიდი კერების ლიკვიდაცია. მოწინააღმდეგის დიდი ძალები წინ მოიწევდნენ სატახტო ქალაქზე შეტევის მიზნით, რუმინეთის ჯარები კონტრიერიშებზე გადადიოდნენ და წარმატებებს მიაღწიეს იმ ზონის გარშემორტყმის საქმეში, რომელსაც მოწინააღმდეგე ინარჩუნებს, და იგი მიიმწყვდიეს შეზღუდულ პლაცდარმზე, სადაც გარდუვალია მტრის ჯარების ლიკვიდაცია.

ონგლისისა და ამერიკის ავიაციის დიდი ძალები ეხმარებოდნენ რუმინეთის ჯარების შეტევას, ათმოქმედეს 400 ბომბდამშენი და ავიაგამანადგურებელი. გერმანელები ცდილობდნენ მიეშველებინათ თავიანთი ჯარებისათვის ბუქარესტში დიდი ძალები, რომლებიც გადალახეს დუნაი ჯურჯუსთან. ჯურჯუში შესული მტრის ჯარები, რუმინეთის თავდაცვის მხრივ ძლიერი წინააღმდეგობის შედეგად, უკუგდებული არიან დუნაის სამხრეთით. მოწინააღმდეგის ავიაცია განაგრძობდა თავის იერიშებს ბუქარესტზე, ანგრევდა კულტურულ დაწესებულებებს და ძლიერ ზარალს აყენებდა სამოქალაქო მოსახლეობას.

ჩაშლილ იქნა გერმანიისა და უნგრეთის ჯარების ცდა—ხელში ჩაეგდოთ რადიოგადამცემი სადგური „რუმინეთი“ მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებული ტრანსილვანიიდან მოყვანილი ჯარების დახმარებით.

რუმინეთის საარღვის ცნობა

ჟენევა, 28 აგვისტო (საკდესი). ბუქარესტის რადიომ გუშინ გადასცა რუმინეთის უმაღლესი სარდლობის ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ რუმინეთის ჯარები განაგრძობენ ოპერაციებს დასახული ობიექტების ხელში ჩასაგდებად. ბუქარესტში, სადაც გერმანელთა წინააღმდეგობა შესწყდა, სრული სიწყნარეა. ბუქარესტის ჩრდილოეთით მძიმე ბრძოლები ვითარდება გერმანელების წინააღმდეგ, რომელნიც შეუპოვრად იცავენ თავიანთ ჰოზიციებს. ზედიზედ ვსპობთ მტრის გამაგრებულ პუნქტებს. 27 აგვისტოს ღილით ავიღეთ ქალაქი ტირგოვიშტე და მასთან აეროდრომი. ბუზეუ-პლოეშტის გზატკეცილის გასწვრივ და პლოეშტის გარშემო გერმანელებს დიდი ძალები გადაჰყავთ იმ მიზნით, რომ გადალახონ მთები ბრაშოვის რაიონში.

ტრანსილვანიაში გერმანიის ჯარებმა, უნგრელთა ნაწილების დახმარებით, სცადეს გადაელახათ საზღვარი, მაგრამ ისინი უკუვაქციეთ, ამასთან მძიმე ზარალი მოუვიდათ. ორ სხვა პუნქტში მოწინააღმდეგე განიარაღებულია. ხელთ ვიგდეთ დიდძალი სამხედრო მასალა, მათ შორის ბევრი მედიკამენტი.

დუნაიზე გერმანიის ჰაერავიმა სცადა გასულიყო დასავლეთისაკენ, მაგრამ მასზე იერიში მიიტანა რუმინეთის სამეწინარო ფლოტილიამ და სროლა აუტეხა სანაპირო ბატარიამ. ჩაძირულია 2 სატორპედო კატერი და 4 ბუქსირი. გარდა ამისა, 10 გემი დავაზიანეთ და 2 ხელთ ვიგდეთ.

26 აგვისტოს რუმინეთის ავიაციამ ჩამოაგდო გერმანელთა 10 თვითმფრინავი.

ბრძოლების განმავლობაში ხელთ ვიგდეთ 12 ათასი ტყვე, გერმანელთა დიდძალი ვაგონი და ასობით ავტომანქანა.

ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შეგაბის ცნობები

ლონდონი, 27 აგვისტო (საკდესი). სამხრეთ იტალიაში ბრძოლების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

იტალიაში მე-8 არმიის ინგლისელთა და ინდოელთა ნაწილები განაგრძობდნენ წინსვლას „გოტის ხაზისაკენ“. ფლორენციის აღმოსავლეთით და მდინარეების არნოსა და ტიბრის ზემო წელის ორივე მხარეზე მდინარე მთებში.

სამხრეთ საფრანგეთში მე-7 არმიის რაიონში ფრანგთა ჯარებმა დაამთავრეს ქალაქ ტულონის გაწმენდა და დაიკავეს სიმაგრე სა-ფური, აგრეთვე ბრეგაიონისა და მარიგზოს რაიონები. მტერი წინააღმდეგობას განაგრძობს მხოლოდ ნახევარკუნძულზე ქალაქის სამხრეთით და ფორტ-ში-ფურის სამხრეთით. მარსელის რაიონში აღნიშნულია წარმატებანი მტრის წინააღმდეგობის დაქსაქსული კვანძების ლიკვიდაციაში. გრძელდება ნელი წინსვლა რიეერის სანაპიროს გასწვრივ ანტიბიდან. მოკავშირეთა ჯარებს უშენს არტილერია და ისინი სძლევენ ვრცელ ნაღმიან ველებს.

26 აგვისტოს მძიმე ბომბდამშენთა შეიარაღებამ, რომლებიც დახმარებას უწევდნენ რუმინეთის მთავრობის ჯარებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, იერიში მიიტანეს აეროდრომზე და გერმანიის თავმოყრილ ჯარებზე ბუქარესტის რაიონში და ბორნით ჯადასვლელზე ჯურჯუს რაიონში დუნაიზე. ავიაგამანადგურებლები, რომლებიც ესკორტს შეადგენდნენ, თავს ესხმოდნენ ამ ობიექტების რაიონს. მძიმე ბომბდამშენთა სხვა შეიარაღება თავს ესხმოდნენ რკინიგზის ხიდებს და ავიადუკებს ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში და ალბრეთ-დასავლეთ იუგოსლავიაში. ტაქტიკური ავიაცია განაგრძობდა დახმარების აღმოჩენას სახმელეთო ნაწილებისათვის ბრძოლებში რაიონში. სამხრეთ საფრანგეთში და ჩრდილოეთ იტალიაში თავდასხმა განიცადეს საავტომობილო პოზიციებმა, გზატკეცილებმა და რკინიგზებმა. მოკავშირეთა თვითმფრინავების სხვა შეიარაღებამ იერიში მიიტანეს სამაედრო ობიექტებზე იუგოსლავიაში.

ლონდონი, 28 აგვისტო (საკდესი). ოპერაციების ხმელთაშუაზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

სამხრეთ საფრანგეთში მე-7 არმიის ფრონტზე ამერიკის ჯარებმა მიაღწიეს მდინარე რონას მონტელიმარის ახლოს. რამდენიმე დღის განმავლობაში მოკავშირეებმა ბრძოლებში მძიმე ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს, რომელიც ცდილობდა მოეგერიებინა სერიოზული საფრთხე, რაც მის აღმოსავლეთ ფლანგს მოელოდა. მარსელისა და ტულონის რაიონებში საფრანგეთის ჯარებმა, რომელნიც ოპერაციებს აწარმოებენ მტრის წინააღმდეგობის კერების მოსასპობად, ტყვედ წამოიყვანეს 7 ათასზე მეტი კაცი. სულ სამხრეთ საფრანგეთში წარმოებული კამპანიის დროს წამოყვანილია 30 ათასზე მეტი ტყვე. მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრის აღმოსავლეთ სანაპირო ფლანგზე ამერიკის მეწინავე ნაწილებმა რამდენიმე ადგილას მიაღწიეს მდინარე გარს.

იტალიაში, ფრონტის ადრიატიკის უბანზე მე-8 არმიის ნაწილებმა მიაღწიეს ფანოს გარეუბნებს.

27 აგვისტოს მძიმე ბომბდამშენების დიდი შეიარაღება ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ სინთეზური ნავთის ორ ქარხანას ბლეკჰამერში (სილეზია). ამავე დროს გრძელდებოდა მასობრივი თავდასხმები მტრის სამხედრო ობიექტებზე ჩრდილოეთ იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთსა და იუგოსლავიაში.

მდგომარეობა ჯუგაძეთში

სოფია, 27 აგვისტო (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

ბულგარეთის მთავრობის მოთხოვნით დაიწყო ბულგარეთიდან გერმანელთა იმ ნაწილებისა და სამხედრო სამსახურთა გაყვანა, რომლებიც წინათ ბულგარეთში იმყოფებოდნენ, რაც დამთავრდება რამდენიმე დღის შემდეგ. გრძელდება გერმანელთა იმ ნაწილების განიარაღება, რომელნიც რუმინეთიდან უკან იხევენ და რუმინეთ-ბულგარეთის საზღვრის გავლით ბულგარეთის ტერიტორიაზე გადმოდიან.

თავდასხმა გენერალ დე გოლზე

ლონდონი, 27 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პარიზში ჩასულ გენერალ დე გოლზე გუშინ მოახდინეს თავდასხმა. სამადლობელი პარაკლისის დროს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში იქ შეპარულმა ფაშისტებმა ქალდარიდან სროლა აუტეხეს გენერალ დე გოლს და შეკრებილ სამღვდელოებას. ფრანგმა პოლიციელებმა და მოკავშირეთა ჯარების ჯარისკაცებმა საპასუხო სროლა აუტეხეს ფაშისტებს. გენერალი დე გოლი უვნებლად გადარჩა.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი საარღვის შეგაბის ცნობები

ლონდონი, 27 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 27 აგვისტოს ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც წინ მიიწევენ სენის ზემო წელის აღმოსავლეთი მიმართულებით, მიაღწიეს მდინარეს ქალაქ ტროას ჩრდილოეთ გარეუბნებთან, აგრეთვე 12 მილზე უფრო შორს ჩრდილოეთისაკენ. პარიზთან უფრო ახლოს ჯავშანსატანკო ნაწილები იერიშზე გადავიდნენ მელენსა და კორბეის შუა მდებარე სექტორში, სადაც წინათ შექმნილი იყო ხიდწინა სიმაგრე. მოწინააღმდეგეს 10 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის გერმანელი სარდალი და მისი შტაბი, წამოყვანილია ტყვედ პარიზში. შამპინში—პარიზის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში—ძარღვა მტრის წინააღმდეგობის ერთი კვანძი. მტრის მცირე ჯგუფები მოქმედებენ ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ გარეუბნებში. თვით ქალაქში წინააღმდეგობა ოფიციალურად შესწყდა. მაგრამ გრძელდება უწესრიგო სროლა. ჯავშანსატანკო ნაწილები, რომლებმაც წინ წაიწიეს მდინარე სენის სამხრეთ ნაპირით მანტა-გასიკურსა და პარიზს შუა მდებარე სექტორში, სუსტ წინააღმდეგობას ხვდებიან. მოკავშირეთა ჯარები შეერთდნენ სენის სამხრეთ ნაპირზე და გადალახეს მდინარე ვერნონისა და პონ-დე-ლარშეს რაიონში. უფრო შორს დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა ხელთ იგდეს ბურ-ტარუდი და მოწინააღმდეგისაგან სწმენდნენ ლონდის ტყეს. სანაპიროს სექტორში მოწინააღმდეგე განლაგებულია მდინარე რილის ქვემო წელის რაიონიდან. ქალაქი პონ-ოდემერი მოკავშირეთა ხელშია. გაიფრებული ბრძოლები ჩაღებია ბრეტანში, ბრესტის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში, სადაც მტრის გარნიზონი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. მტრის საარტილერიო პოზიციები და სიმაგრეები ბრესტში კვლავ ცახლა მძიმე ბომბდამშენთა თავდასხმის ობიექტი, რომლებიც მოქმედებენ თანხლებით. ყველა ბომბდამშენი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ავიაგამანადგურებელმა ბომბდამშენებმა და ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს მტრის ტრანსპორტზე ჩრდილოეთ საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში.

ლონდონი, 28 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები, რომლებიც მდინარე სენაზე გადავიდნენ პარიზის სამხრეთით, გაწაფრძელებენ შეტევას აღმოსავლეთით მარნასა და სენას შუა. ამ სექტორის სამხრეთ უბანზე მოკავშირეთა ნაწილები ტრუას გასცდნენ.

პარიზის რაიონში 27 აგვისტოს გრძელდებოდა მტრის წინააღმდეგობა შამპინიონში. ბულონის ტყე გაწმენდილია გერმანელებისაგან, მაგრამ მტრის მცირე ოზოლირებული ჯგუფები წინააღმდეგობას განაგრძობენ მეღონის ტყეში, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში.

პარიზსა და მანტა-გასიკურს შუა მიმდინარეობს ბრძოლება პოასის ახლოს მოწინააღმდეგის ჯარების მოსასპობად. მოკავშირეთა ჯარები, რომელნიც აღმოსავლეთით მიიწევენ წინ პონტ-ოდემერიდან, მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდებიან. მტრის ჯარებისაგან ლონდის ტყეს გაწმენდა თითქმის დამთავრებულია.

ამ უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში მოკავშირეთა ასობით თვითმფრინავმა დაბომბა მდინარე სენის დასავლეთ ნაპირზე, რუანში თავმოყრილი მტრის ჯარები, მანქანები და კარჩაპები.

ავიაციის სხვა შენაერთებმა, რომლებმაც დაბომბეს ობიექტები ვრცელ ტერიტორიაზე სენის შესართავიდან ლუქსემბურგამდე, გერმანიამდე და დანიამდე, მოსპეს და დაზიანეს ბევრი ორთქლმავალი, სამხედრო მანქანა და ასობით სარკინიგზო ვაგონი.

გენერალი ეიზენჰაუერი პარიზს ჩავიდა

ლონდონი, 27 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ^უწყება, ამერიკის რადიომაუწყებლობის კომპანიის წარმომადგენელმა პარიზიდან გადმოსცა ცნობა, რომ აქ ჩავიდა გენერალ ეიზენჰაუერი. მან დაათვალიერა განთავისუფლებული ქალაქი და ოფიციალურად ეწვია სადარბაზოზე პარიზის სამხედრო გუბერნატორს გენერალ კენიგს.

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა კენიგსბერგს. კიეს. ბერლინსა და ჰამბურგს

ლონდონი, 27 აგვისტო (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისის ბომბდამშენებმა დიდი თავდასხმა მოახდინეს ნავსადგურსა და სამხედრო ბაზაზე აღმოსავლეთ პრუსიაში—კენიგსბერგზე. თავდასხმა მასიერებული იყო. გაჩნდა დიდი ხანძრები.

ინგლისის ბომბდამშენთა სხვა შენაერთებმა 1.700 ტონა ბომბი დააყარეს კიელს.

„მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავებმა თავს დაესხნენ ბერლინსა და ჰამბურგს.

ამ ოპერაციებიდან არ დაბრუნებულა 29 ბომბდამშენი.

დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 26 აგვისტო (საკდესი). ოფიციალურად გამოცხადდა, რომ დუმბარტონ-ოქსში გამართული მოლაპარაკების პირველ ეტაპზე „გამორკვეულ იქნა სამივე ჯგუფის საერთო შეხედულებანი“. 26 აგვისტოს აგრეთვე გამოცხადდა, რომ სტეტინიუსს, გრომიკოს და კადოგანს სჭირდებათ გარკვეული დრო მასალების მოსამზადებლად შემდგომი მოლაპარაკებისათვის, რომელიც იწყება მომავალ კვირაში, ამიტომ 26 და 27 აგვისტოს დელეგატების თათბირი არ შესდგება.

დღეს დილით ჰელმა მიიწვია ხელმძღვანელი რესპუბლიკელები და დემოკრატები— სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრები.

მოკლე ოფიციალურ ცნობებთან ერთად, რომლებშიც მოყვანილია მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელო დაწვრილებითი ცნობები მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ და ამასთან არ არის გამოვლინებული მათი ბასიათი, გაზეთები განაგრძობენ სხვადასხვა დაუდასტურებელი ცნობების გამოქვეყნებას, რომლებიც, როგორც სჩანს, დამყარებულია იმ ცნობებზე, რაც სხვადასხვა ოფიციალური პირების მიერ კერძო წესით არის გამოქვეყნებული.

ოკუპირებულ ევროპაში

ანტიფაშისტური ბრძოლა ბალკანეთში

ლონდონი, 27 აგვისტო (საკდესი). ბალკანეთის ანტიფაშისტური ბრძოლის ცენტრალური შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ალბანეთში ანტიფაშისტური ბრძოლა ფართოდ გაიშალა. ალბანეთის ეროვნული განმათავისუფლებელი ფრონტის ჯარები ალბანეთის ტერიტორიის 2/3-ზე მეტზე ბატონობენ